ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №28

ქ. თბილისი 17 ივლისი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, გიორგი ჩაჩანიძე, გია აბულაძე, მანუჩარ მახათაძე, დავით მახარობლიშვილი, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: დ. თიგიშვილი, ა. მენაბდე, მ. ბოლქვაძე, რ. ცქიტიშვილი, ი. ცქიტიშვილი, გ. ქევანიშვილი, ზ. გერსამია, თ. ქამურიძე, ირ. ჩირაძე, ზ. მაღლაკელიძე, დ. იაკობაშვილი, ს. ჭურაძე, გ. მელაძე, გ. პატარქალიშვილი, მ. ხატიაშვილი, გ. გუძუაძე, დ. ლოსაბერიძე, ნ. სარალიძე, ი. ბალავაძე, დ. ბასიაშვილი, მ. შამუგია, ირ. გავაშელი, გ. გოგრიჭიანი, მ. თეთრუაშვილი, დ. ახვლედიანი, თ. თოფურია, ა. ლომსაძე, ი. ხავთასი, ლ. სიგუა, გ. ღლონტი, კ. სურმავა, გ. მონიავა, მ. ყრუაშვილი, მ. ფორჩხიძე, ი. აბრამიშვილი, ლ. ჯოღონაძე, ნ. თოდუა, ბ. გაბათაშვილი, ლ. გაბათაშვილი, ნ. გამრეკელაშვილი, მ. მღებრიშვილი, ი. გიგოშვილი, გ. ხიზანიშვილი, რ. ბერიშვილი, თ. ერიაშვილი, ბ. ბერაძე, ბ. ჩანტლაძე, რ. ასამბაძე, ლ. კალმახელიძე, ლ. ძამაშვილი, რ. ახალაია, ნ. სიხარულიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების №35-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული Y-ის მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებ.

(მოწვეული – ირ. ჩირაძე).

8. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩა III №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ზ. მაღლაკელიძე).

9. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობი, II მიკრო/რაიონი,III, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2, მე-3 და მე-4 მიკრო/რაიონების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.16.015.252) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით სპეციალური ზონალური ნებართვის, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – დ. იაკობაშვილი, ს. ჭურაძე).

10. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, წითელწყაროს ქუჩისა და წითელწყაროს I შესახვევის კუთხეში, დედოფლისწყაროს ქ. მე-2 შესახვევი №1-ში არსებული მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – გ. მელაძე, გ. პატარქალიშვილი).

11. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ბარნოვის ქ. №84-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – მ. ხატიაშვილი).

12. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ცხვედაძის ქ. №62-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით სპეციალური ზონალური ნებართვის, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – გ. გუძუაძე).

13. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ტ.ტაბიძის ქ. №56-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – გ. გუძუაძე. **AR 1146322**
დადგენილი ზონის სახეობა – საცხოვრებელი ზონა 2.
დადგენილი პარამეტრები – კ2=0,8.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=2,5.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები.
- მისაღებია
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. მოცულობა ძალიან დიდია.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ცხვედაძის ქ. №62-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით სპეციალური ზონალური ნებართვის, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემასა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 7, წინააღმდეგი: 1.

13. დ. ლოსაბერიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ტ.ტაბიძის ქ. №56-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – დ. ლოსაბერიძე. **AR 1146461**
დადგენილი პარამეტრები –**კ1=0,5, კ2=1,5.**
მინიჭებული პარამეტრები –**კ2=2,4.**
მოთხოვნილი პარამეტრები –**კ1=0,8, კ2=2,5.**

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ტ.ტაბიძის ქ. №56-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის გახა"შენიანების კოეფიციენტი და გახა"შენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: **კ1=0,8, კ2=2,5.**

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 7, წინააღმდეგი: 1.

14. ნ. სარალიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ი. ჯავახიშვილის ქ. №58ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ნ. სარალიძე. **AR 1146516**
დადგენილი პარამეტრები – **კ1=0,5, კ2=2,5.**
მოთხოვნილი პარამეტრები – **კ1=0,8, კ2=4,0.**

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ი. ჯავახიშვილის ქ. №58ა -ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: **კ1=0,8, კ2=4,0.**

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" 2013 წლის 12 ივნისის №23 სხდომის ოქმის №46 საკითხსა და ქ. თბილისის მერის 2013 წლის 27 ივნისის №1277 განკარგულებაში ცვლილების შეტანაზე, კერძოდ ნაცვლად "არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=1.2" დაფიქსირდეს " არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს კ2=0.9".

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე დავით ნინიძე

კომისიის ალმასრულებელი

მდივანი ლევან ჯუბეშიძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 1558

„ 24 „ ივლისი 2013 წ.

ქ. თბილისში, ტ.ტაბიძის ქ. №56-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 17 ივლისის სხდომის №28 ოქმის შესაბამისად:

1.ქ.თბილისში, ტ.ტაბიძის ქ. №56-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ1=0,8, კ2=2,5.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.“**

ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTG22 (220101480) ა/ანგარიში: GE37LB0125152101628626.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს–ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 170, ფაქსი: (+995 32) 23 78 200